

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად:

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით:

- 1.1 მცენარეთა სელექცია – პროფესორი;
- 1.2 პოლიმერების ქიმია – პროფესორი;
- 1.3 მიკრობიოლოგია – პროფესორი;
- 1.4 მეღვინეობა – პროფესორი

2 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **მცენარეთა სელექციის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება. ასევე,

- შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება მცენარეთა სელექციის მიმართულებით;
- მულტი დისციპლინარული ცოდნა და გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება განვითარებული ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კანდიდატს მცენარეთა სელექციაში, აგრონომიაში, მემცენარეობასა ან სოფლის მეურნეობაში.

2.2. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **მიკრობიოლოგიის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება. ასევე,

- შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მინიმუმ 20 წლიანი გამოცდილება;
- საგრანტო პროექტების განხორციელების გამოცდილება;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული პუბლიკაციები ციტირებად გამოცემებში;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.3. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **პოლიმერების ქიმიის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება. ასევე,

- შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მინიმუმ 20 წლიანი გამოცდილება;
- საგრანტო პროექტების განხორციელების გამოცდილება;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული პუბლიკაციები ციტირებად გამოცემებში;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.4 პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **მელვინობის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება. ასევე,

- კვლევითი გრანტების განხორციელების გამოცდილება;
 - შესაბამის სფეროში პრაქტიკული საქმიანობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება;
 - ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება აღნიშნული მიმართულებით;
 - უცხო ენის ცოდნა.
3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებული იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამის კვალიფიკაციად ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. **განცხადებების მიღება იწარმოებს 2021 წლის 31 მაისიდან - 2021 წლის 6 ივნისის ჩათვლით.**

5. **განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:**

- 5.1. ბიოგრაფია (CV);
- 5.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 5.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 5.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 5.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 5.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.com/210972209265456>

7. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება 2021 წლის 7 ივნისიდან - 2021 წლის 11 ივნისის ჩათვლით, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება 2021 წლის 14 ივნისიდან - 2021 წლის 18 ივნისის ჩათვლით.

9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

10. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი.

ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@agruni.edu.ge